



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი 06.05.2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი მაქსიმ

გვარი იავიჩი



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	კომპიუტერული მეცნიერებები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	თამარ მეფის ქ. #59, ქუთაისი, 4600, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



		№318782. 02/04/2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	19/03/2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	21/03/2021
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	20/03/2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. შეიცვალოს სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“;
2. შეიცვალოს კონცენტრაციის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შინაარსი და შესაბამისი სასწავლო კურსები.
3. გასწორდეს კურსების „ხელოვნური ინტელექტის სისტემები და ლოგიკური დაპროგრამება“, „მოდელირება Matlab გარემოში“, „ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის საწყისები“, „ღრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“ წინაპირობები.
4. გადაიხედოს და ჩასწორდეს კურსების ლიტერატურა: დაპროგრამების საფუძვლები (C++), დაპროგრამება C++ და ობიექტზე ორიენტირებული და პროგრამება, „მონაცემთა ბაზები 1“, „მონაცემთა ბაზები 2“, „კომპიუტერული ქსელები 1“, „საოპერაციო სისტემები“, „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“, „ინფორმაციული სისტემების პროექტების მართვა“, „ვებ დიზაინი“, „ვიზუალური დაპროგრამება“, „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java-ზე“, „ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები“, „ელექტრონული კომერციის სისტემები“, „კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები“, „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“.
5. გადაიხედოს და დაკორექტირდეს შემდეგი კურსების შინაარსი: დაპროგრამება C++; „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“, „დაპროგრამების საფუძვლები“, „საოპერაციო სისტემები“, „ღრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“, ვებ დიზაინი, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა, კომპიუტერული ტექნოლოგიების სამართლებრივი საკითხები, პროფესიული პრაქტიკა, დინამიური ვებგვერდების დაპროგრამება - Javascript, ვიზუალური დაპროგრამება, ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java-ზე, ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები, კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები, საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები.
6. დაკორექტირდეს თვითშეფასების ანგარიშში ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე მითითებული ბმული, გადამოწმდეს პროგრამის ყველა ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში
7. პროგრამის მონიტორინგისთვის შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები.
8. გაძლიერდეს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება
9. გარე ხარისხის შეფასებაში ჩაერთოს მეტი პრაქტიკოსი სპეციალისტი.

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

2021 წლის 2 აპრილს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №318782 გადაწყვეტილებით სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას "კომპიუტერული მეცნიერებები" მიანიჭა 7 წლით აკრედიტაცია და განუსაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად 1 წელი (2022 წლის 21 მარტამდე). აკრედიტაციის საბჭომ ზეპირი მოსმენისას ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. კერძოდ 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება. შედეგად საბაკალავრო პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერებები" 1,2 და მე-5 -ე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო დანარჩენ 2 სტანდარტში - „შესაბამისი მოთხოვნებთან“. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2021 წლის 5 აპრილიდან სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებების" პროგრამის ხელმძღვანელმა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა გამართეს შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფს დაევალა რეკომენდაციების და რჩევების დეტალური შესწავლა და შესაბამისი ქმედების განხორციელება. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 19 მარტს, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის დაცვით.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობა და ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები აღწერილია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ ნაწილში

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რჩევები⁸

1. გაძლიერდეს გრაფიკული და ვებ-დიზაინის სწავლების მიმართულება, პროგრამაში წარმოდგენილ ერთადერთ საბაზო კურსს დაემატოს გაღრმავებული კურსები, რაც ცალკე კონცენტრაციადაც კი შეიძლება წარმოდგეს, როგორც ჩაშენებული სისტემების შემთხვევაშია;
2. სასურველია მოხდეს შეფასების შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი;
3. სასურველია პროგრამის მხრიდან გაიზარდოს მხარდაჭერა, რათა შემფასებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მუდმივად გაეცნონ შეფასების სისტემის თანამედროვე ტენდენციებს;
4. სასურველია გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რაც გაზრდის პროგრამის განვითარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროგრამის კურსდამთავრებულთა საკუთარი პროფესიით დასაქმების ხარისხს;
5. სასურველია პირველკურსელთათვის გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს მეტად ინტენსიური ხასიათი მიეცეს;
6. სასურველია დაინერგოს სტუდენტების კონფერენციებითა და მსგავსი აქტივობებით დაინტერესების მექანიზმი, რაც გაზრდის მათ ჩართულობას;
7. მეტი ყურადღება და ძალისხმევა იქნას მიმართული პროფესიულ კურსების წასაკითხად
8. პრაქტიკოსი სპეციალისტების მოწვევაზე;
9. უნივერსიტეტის ვებ საიტზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტ რესურსების ძიების ინსტრუმენტების სარგებლობის გაუმჯობესება (ვებ საიტზე ზოგადი ძიება, SEO ოპტიმიზაცია).
10. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის მოტივაციის გაზრდისთვის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება.
11. ფაკულტეტმა იზრუნოს მეტი სამეცნიერო და გამოყენებითი გრანტის მოზიდვაზე მოცემული პროგრამის ფინანსური გაძლიერებისთვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.2.პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I ¹⁴	შეიცვალოს სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“;
შეფასება	დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია, კონცენტრაციის "ინფორმაციული ტექნოლოგიები" შემადგენელი სასწავლო კურსების სტატუსი განისაზღვრა, როგორც სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსები, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისად.
რჩევა ¹⁵ I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ია	☐ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1) ☐ კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სხდომის ოქმი № 3 (დანართი 2) ☐ აკ.საბჭოს დაგეგნილება №1 (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	2..სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II ¹⁶	შეიცვალოს კონცენტრაციის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შინაარსი და შესაბამისი სასწავლო კურსები

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად შეიცვალა კონცენტრაციის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შინაარსი და შესაბამისი სასწავლო კურსები, კერძოდ: „ინფორმაციული ტექნოლოგიები“-ს ნაცვლად შეიქმნა კონცენტრაცია "ვებ ტექნოლოგიები", რომლის სასწავლო კურსები განისაზღვრა შემდეგი სახით: დინამიური ვებ-გვერდების შემუშავების ტექნოლოგია (JavaScript); მომხმარებლის ინტერფეისის (UX/UI) დიზაინი Adobe XD გამოყენებით; სერვერის მხარის ვებ-სცენარების შემუშავების ტექნოლოგია (PHP); ვებ-საიტების აგებისა და შინაარსის მართვის სისტემა WordPress; მომხმარებლის ინტერფეისის აგება ReactJS-ის გამოყენებით.
რჩევა ¹⁷ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1) <input type="checkbox"/> დეპარტამენტის სხდომის ოქმი № 3, ოქმი № 5 (დანართი 2) <input type="checkbox"/> აკადემიური საბჭოს დადგენილება №1 (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება ¹⁸	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹⁹	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III ²⁰	გასწორდეს კურსების „ხელოვნური ინტელექტის სისტემები და ლოგიკური დაპროგრამება“, „მოდელირება Matlab გარემოში“, „ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის საწყისები“, „ღრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“ წინაპირობები
შეფასება	ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად კურსის „ხელოვნური ინტელექტის სისტემები და

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸ სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁹ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>ლოგიკური დაპროგრამება“ წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსები: „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ- ჩვევები“, „დაპროგრამების საფუძვლები“ და „კალკულუსი 1“. კურსის „მოდელირება Matlab გარემოში“ წინაპირობად ჩამოყალიბდა სასწავლო კურსები - „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“, „დაპროგრამების საფუძვლები“ და „რიცხვითი მეთოდები“. სასწავლო კურსის „ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა“ წინაპირობად განისაზღვრა კურსები: „ოპერაციული სისტემები“ და „კომპიუტერული ქსელები 1“. სასწავლო კურსი ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის საწყისები“ ამოღებულ იქნა სასწავლო გეგმიდან. სასწავლო კურსის „ღრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“ წინაპირობად ჩამოყალიბდა სასწავლო კურსები - „მონაცემთა ბაზები 2“ (SQL სერვერი), „კომპიუტერული ქსელები 1“, „ოპერაციული სისტემები“. სასწავლო კურსის „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“ წინაპირობად-სასწავლო კურსი - „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“.</p> <p>სასწავლო კურსის „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“ წინაპირობად კი, სასწავლო კურსები-„დაპროგრამების საფუძვლები“ და „მონაცემთა ბაზები 1“.</p>
რჩევა ²¹ III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<p><input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1)</p> <p><input type="checkbox"/> დეპარტამენტის სხდომის ოქმი № 3, ოქმი № 4 (დანართი 2)</p> <p><input type="checkbox"/> აკადემიური საბჭოს დადგენილება №1 (დანართი 1)</p>

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV ²²	გადაიხედოს და ჩასწორდეს კურსების ლიტერატურა:

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>დაპროგრამების საფუძვლები (C++), დაპროგრამება C++ და ობიექტზე ორიენტირებული და პროგრამება, „მონაცემთა ბაზები 1“, „მონაცემთა ბაზები 2“, კომპიუტერული ქსელები 1“, „საოპერაციო სისტემები“, „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“, „ინფორმაციული სისტემების პროექტების მართვა“, „ვებ დიზაინი“, „ვიზუალური დაპროგრამება“, „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java-ზე“, „ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები“, „ელექტრონული კომერციის სისტემები“, „კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები“, „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“.</p>
შეფასება	<p>უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია, შესაბამისად სასწავლო კურსების სილაბუსებში დაპროგრამების საფუძვლები (C++), დაპროგრამება C++ და ობიექტზე ორიენტირებული და პროგრამება, „მონაცემთა ბაზები 1“, „მონაცემთა ბაზები 2“, კომპიუტერული ქსელები 1“, „ოპერაციული სისტემები“, „ინფორმაციული სისტემების თეორია და დაპროექტება“, „ინფორმაციული სისტემების პროექტების მართვა“, „ვებ დიზაინი“, „ვიზუალური დაპროგრამება“, „ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები“, „ელექტრონული კომერციის სისტემები“, „კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები“, „საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „დაპროგრამება Java-ზე“ ჩასწორდა მითითებული ლიტერატურა. კურსის „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java-ზე“ სახელში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „დაპროგრამება Java-ზე“</p>
რჩევა ²³ IV	<p>გამლიერდეს გრაფიკული და ვებ-დიზაინის სწავლების მიმართულება, პროგრამაში წარმოდგენილ ერთადერთ საბაზო კურსს დაემატოს გაღრმავებული კურსები, რაც ცალკე კონცენტრაციადაც კი შეიძლება წარმოდგეს, როგორც ჩაშენებული სისტემების შემთხვევაშია</p>
შეფასება	<p>დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რჩევა, გრაფიკული და ვებ-დიზაინის სწავლების</p>

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მიმართულების გაძლიერების მიზნით, შეიქმნა ახალი კონცენტრაცია „ვებ ტექნოლოგიები“, რომელიც შედგება ხუთი სასწავლო კურსისგან: "დინამიური ვებ-გვერდების შემუშავების ტექნოლოგია (JavaScript)"; "მომხმარებლის ინტერფეისის (UX/UI) დიზაინი Adobe XD გამოყენებით"; "სერვერის მხარის ვებ-სცენარების შემუშავების ტექნოლოგია (PHP)"; "ვებ-საიტების აგებისა და შინაარსის მართვის სისტემა WordPress" და "მომხმარებლის ინტერფეისის აგება ReactJS-ს გამოყენებით".</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> ☐ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1) ☐ დეპარტამენტის სხდომის ოქმი № 3, ოქმი № 4, ოქმი № 5 (დანართი 2) ☐ აკ.საბჭოს დადგენილება №1 (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3.სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V ²⁴	<p>გადაიხედოს და დაკორექტირდეს შემდეგი კურსების შინაარსი: დაპროგრამება C++; „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“, „დაპროგრამების საფუძვლები“, „საოპერაციო სისტემები“, „ღრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“, ვებ დიზაინი, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა, კომპიუტერული ტექნოლოგიების სამართლებრივი საკითხები, პროფესიული პრაქტიკა, დინამიური ვებგვერდების დაპროგრამება - Javascript, ვიზუალური დაპროგრამება, ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java-ზე, ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები, კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები, საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები.</p>
შეფასება	დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია, და შესაბამისად სასწავლო კურსების შინაარსში შევიდა ცვლილებები: სასწავლო კურსში

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>"ვებ-დიზაინი" შევიდა მხოლოდ ის თეგები, რომლებიც გამოიყენება HTML5-ში. ასევე შევიდა Bootstrap ფრეიმვორკის გამოყენება ვებ გვერდების აგებისას.</p> <p>კურსში "პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია", განახლდა სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსი. კერძოდ, ლაბორატორიულ სამუშაოებში შეტანილ იქნა სტანდარტული პროექტის განხილვა.</p> <p>კურსის "ინფორმაციული უსაფრთხოება და დაცვა", სილაბუსის შინაარსში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა, მოთხოვნები და დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. დაემატა ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების გამოყენების ლაბორატორიული. კურსის სილაბუსში აისახა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი, საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონი და სახელმწიფოს პოლიტიკა მეკობრეობის წინააღმდეგ ზომების მიღებისა და ცნობადობის ამაღლების კუთხით.</p> <p>"პროფესიული პრაქტიკა", თემისთვის „პროფესიული ამოცანების შესრულება ხელმძღვანელის დახმარებით“ დაემატა საათები და შეადგინა 24 სთ. ხოლო სტუდენტმა პრაქტიკის გავლის შემდეგ, უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 10 გვერდიანი ანგარიში, რომელშიც აღწერს პრაქტიკის ობიექტს; კომპიუტერული ტექნოლოგიების სტრუქტურას, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; მონაცემთა ბაზებს და მონაცემთა დამუშავების პროცესს; კომპიუტერული ქსელის სტრუქტურას; ინტერნეტის გამოყენებას ობიექტის საქმიანობაში და პრაქტიკის ობიექტზე მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს.</p> <p>კურსის "დინამიური ვებგვერდების დაპროგრამება - Javascript" შინაარსში შევიდა კოდის ვერსიულობის კონტროლის საკითხი, jquery ბიბლიოთეკის და სხვადასხვა რეზოლუციების მქონე მოწყობილობებისთვის ინტერფეისის თავსებადობის მართვის საკითხები. კურსს შეეცვალა სახელი და დაერქვა „დინამიური Web გვერდების შემუშავების ტექნოლოგია (JavaScript)“.</p>
--	--



	<p>განახლდა კურსის "ვიზუალური დაპროგრამება" სილაბუსი, სადაც საბაზო პლატფორმად მითითებულია Visual Studio, კურსის შინაარსში ჩაემატა კოდის ვერსიულობის კონტროლის საკითხი.</p> <p>კურსის "დაპროგრამება Java-ზე", შინაარსში დაემატა საკითხები, ქსელური დაპროგრამება, მრავალნაკადური დაპროგრამება და ჯავას ჯენერიკ კონცეფცია.</p> <p>კურსის "ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები" შინაარსში ჩაემატა კრიპტოვალუტის გაცნობისა და საბაზო განხილვის საკითხი.</p> <p>კურსის "კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები", სტატუსი გახდა სავალდებულო. კურსის სილაბუსის შინაარსში ჩაემატა UX/UI (user experience/ user interface) დიზაინის საბაზო საკითხების მიმოხილვა, განახლდა და დაემატა ფოტოშოპის საკითხები, დაემატა ლექციების თემები: ანიმაცია, UX/UI ცნებები, UX დიზაინის ფუნქცია, UX-დიზაინერის ამოცანები, UI- დიზაინი, ფუნქციები, კომპიუტერული გრაფიკის პროგრამების ანალიზი, Adobe Photoshop CC- რასტრული რედაქტორი, Adobe Illustrator , Adobe Experience Design (Adobe XD), ინტერფეისების დამუშავების პროგრამა. თავისებურებები: ვექტორული გრაფიკის და ვებ-მარკიერების მხარდაჭერა, ვექტორული რედაქტორი Corel Draw. ასევე დაემატა ლაბორატორიულის თემები: Adobe Illustrator ვექტორულ გრაფიკაში მუშაობა, ანიმირებული ობიექტების შექმნა, Adobe Experience Design (Adobe XD) ინტერფეისების დამუშავების პროგრამის გაცნობა, Corel Draw გრაფიკულ რედაქტორში მუშაობა.</p> <p>კურსის "საბუნდლო ალრიცხვის კომპიუტერული ტექნოლოგიები" კურსის სტატუსი გახდა არჩევითი. კურსის შინაარსში დაემატა ფინანსური ალრიცხვის საკითხების განხილვა (დებეტ- კრედიტი, ანგარიშთა გეგმა, ბალანსი და აშ).</p> <p>შეიცვალა კურსების „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“ და „ოპერაციული სისტემების“ თანმიმდევრობა. „ოპერაციული სისტემები“ ისწავლება მეშვიდე სემესტრში, ხოლო „პროგრამული</p>
--	---



	<p>უზრუნველყოფის ინჟინერია“ მერვე სემესტრში.</p> <p>დაკორექტირდა“ შემდეგი სასწავლო კურსების შინაარსი: „დაპროგრამება C++“ და „დაპროგრამების საფუძვლები“, კურსში „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“ ჩასწორდა გამოყენებული ტერმინები, აღნიშნულ კურსში კვირაში ერთი საათი დაეთმოება სემინარს, სასწავლო კურსის „საოპერაციო სისტემები“ სახელი ჩასწორდა სახელით: „ოპერაციული სისტემები“ შესაბამისი ცვლილებები შევიდა კურსის შინაარსშიც. კურსში „დრუბლოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიები“ შესწორდა მექანიკური შეცდომები.</p> <p>სასწავლო გეგმაში მოხდა შემდეგი ცვლილებები: კურსის „კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ტექნოლოგიები“ სტატუსი განისაზღვრა როგორც ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსი და ისწავლება მეოთხე სემესტრში; კურსი „ხელოვნური ინტელექტის სისტემები და ლოგიკური დაპროგრამება“ მეოთხე სემესტრიდან გადავიდა მეხუთე სემესტრში; კურსის „მოდელირება Matlab–ის გარემოში“ სტატუსი განისაზღვრა როგორც ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსი და მეხუთე სემესტრიდან გადავიდა მეექვსე სემესტრში; კურსის „ოპერაციათა კვლევა“ სტატუსი განისაზღვრა როგორც ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსი და მეშვიდე სემესტრიდან გადავიდა მეექვსე სემესტრში; კურსი „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“ გადავიდა არჩევით კონცენტრაციაში „დაპროგრამება“ და ისწავლება მერვე სემესტრში; კურსი „დინამიური ვებ გვერდების შემუშავების ტექნოლოგია (JavaScript)“ გადავიდა ვებ ტექნოლოგიების არჩევით კონცენტრაციაში; კურსები „ვიზუალური დაპროგრამება“, „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java–ზე“ და „მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი (Android)“ გადანაცვლდა თითო სემესტრით ქვევით –შესაბამისად V, VI და VII სემესტრებში; კონცენტრაციაში ვებ ტექნოლოგიები ისწავლება შემდეგი კურსები: „დინამიური ვებ გვერდების შემუშავების ტექნოლოგია (JavaScript)“ – V სემესტრი, „მომხმარებლის ინტერფეისის (UX/UI) დიზაინი Adobe XD გამოყენებით“ – VI სემესტრი,</p>
--	--



	„სერვერის მხარის ვებ სცენარების შემუშავების ტექნოლოგია (PHP)“ – VII სემესტრი, „ვებ საიტების აგებისა და შინაარსის მართვის სისტემა WordPress“ – VIII სემესტრი, „მომხმარებლისკურსისკურსის ინტერფეისის აგება ReactJS-ს გამოყენებით“ – VIII სემესტრი.
რჩევა ²⁵ V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1) <input type="checkbox"/> დეპარტამენტის სხდომის ოქმი № 3, ოქმი № 4 (დანართი 2) <input type="checkbox"/> აკადემიური საბჭოს დადგენილება №1 (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3.მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია VI ²⁶	დაკორექტდეს თვითშეფასების ანგარიშში ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე მითითებული ბმული, გადამოწმდეს პროგრამის ყველა ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში.
შეფასება	გადამოწმდა პროგრამის ყველა ლიტერატურის არსებობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ლიტერატურა.
რჩევა ²⁷ VI	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<input type="checkbox"/> აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი (დანართი 3)

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია VII ²⁸	პროგრამის მონიტორინგისთვის შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები.
შეფასება	პროგრამის მონიტორინგისთვის შემუშავდა სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება იგეგმება 2 წლის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე.
რჩევა ²⁹ VII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<input type="checkbox"/> პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1.შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VII ³⁰	გადლიერდეს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება
შეფასება	რეკომენდაციის შესაბამისად, შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელების გაძლიერების მიზნით ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა, გაკეთდა 2020-2021 საგაზაფხულო და 2021-2022 საშემოდგომო სემესტრების აკადემიური მოსწრების ანალიზი, ჩატარა შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა.
რჩევა ³¹ VII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<input type="checkbox"/> სტუდენტთა გამოკითხვები (დანართი 4) <input type="checkbox"/> აკადემიური მოსწრების ანალიზი (დანართი 4) <input type="checkbox"/> EP-QA-1.2 პროცედურა (დანართი 4) <input type="checkbox"/> შრომის ბაზრის კვლევა (დანართი 4)

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2.გარე ხარისხის შეფასება

²⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია IX ³²	გარე ხარისხის შეფასებაში ჩაერთოს მეტი პრაქტიკოსი სპეციალისტი.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით დამსაქმებელმა შეაფასა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები. აგრეთვე შეფასებაში ჩართული იყვნენ დამსაქმებელი კომპანიის ვებ დიზაინერები, მობილური აპლიკაციის დეველოპერი, PHP და NET დეველოპერები. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მათ მიერ შეფასდა დადებითად.
რჩევა ³³ IX	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	☐ ელექტრონული წერილი შპს „იდეა დიზაინ ჯგუფი“-ის დირექტორის მარიამ ზანგალიძისგან, (დანართი 3)

თანდართული დოკუმენტაცია³⁴

1. დანართი 1. პროგრამა, სილაბუსები, სამიზნე ნიშნულები, დადგენილებები ფაილების რაოდენობა - 63; გვერდების რაოდენობა - 529
2. დანართი 2. დეპარტამენტის სხდომის ოქმები ფაილების რაოდენობა - 3; გვერდების რაოდენობა - 22
3. დანართი 3. შეფასება, ბიბლიოთეკა ფაილების რაოდენობა - 4; გვერდების რაოდენობა - 7
4. დანართი 4. აკადემიური მოსწრება, სტუდენტთა გამოკითხვები, შრომის ბაზრის კვლევა ფაილების რაოდენობა - 19; გვერდების რაოდენობა - 57

ექსპერტის ხელმოწერა

³² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁴ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა